საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამერალური აღწერა

კამერალური აღწერა (გვიანდ. ლათ. camera – ოთახი), მოსახლეობის აღწერის ერთ-ერთი ფორმა, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ფისკალური და სამხედრო მიზნით ჩატარებული სტატისტიკური დაკვირვება, რომლის დროსაც ღებულობდნენ მონაცემებს დასაბეგრი და ჯარში გასაწვევი კონტინგენტის შესახებ. ტერმინი კ. ა. უკავშირდება XVIII ს-ში გერმანიაში ფართოდ გავრცელებული კამერალური მეცნიერებების, ანუ კამერალისტიკის განვითარებას. ამ უკანასკნელში გულისხმობდნენ სახელმწ. ქონების მართვისთვის აუცილებელი ცოდნის ერთობლიობას, კ. ა. კი იძლეოდა მასალას კამერალური მეცნიერებების შესასწავლად. მართვის ასეთ სპეციალისტებზე მოთხოვნამ განაპირობა სწორედ ამ პერიოდში კამერალური ფაკ-ტების (გერმ. Kameralwissenschaft, Cameralia) შექმნა გერმანიაში, სადაც სწავლის ძირითად მიზანს სახელმწ. ქონებიდან მაქს. მოგების მიღების ხერხების შესწავლა წარმოადგენდა. 1843–63 ანალოგიური კამერალური განყ-ბა არსებობდა პეტერბურგის უნ-ტის იურიდ. ფაკ-ტის ბაზაზე.

კ. ა-ები ტარდებოდა პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში საყოველთაო აღწერების შემოღებამდე.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი კ. ა-ის ჩატარება XIX ს. დამდეგიდან დაიწყო რუსეთის ხელისუფლებამ, რ-იც შეუდგა საქართველოს ფისკალურ-ეკონომიკურ შესწავლას. კ. ა-ები, რ-ებიც იძლეოდა არასრულ, მაგრამ საკმაოდ ვრცელ მონაცემებს, ეხებოდა მხოლოდ მთელ დასაბეგრ მოსახლეობას კომლობრივად, ამასთან მამრობითი სქესის მოსახლეობა აღირიცხებოდა ჩამოთვლით და ასაკის ჩვენებით, ხოლო მდედრობითი სქესისა – მხოლოდ საერთო რიცხვის ჩვენებით.

კ. ა-ის შედეგები ძირითადად განკუთვნილი იყო ფისკალური მიზნებისთვის. საფინანსო უწყება (სახაზინო პალატები და მისი დაწესებულებანი) სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე კრეფდა გადასახადებს. სოფლადაც და ქალაქადაც კ. ა-ებს აწარმოებდნენ ადმ. ორგანოები. სოფლად აღწერის ჩატარება ევალებოდათ მაზრის ხელმძღვანელებს, ხოლო ქალაქად – ქალაქის კომენდანტებს.

მრავალგვარი უზუსტობების გამო კ. ა-ის მონაცემები სისტემატურად მოწმდებოდა, თუმცა მისი შედეგები არსებითად არ უმჯობესდებოდა და სარგებლობა მხოლოდ მონაცემთა კრიტიკული შესწავლა-დამუშავების შემდეგ იყო შესაძლებელი.

საერთოდ, კ. ა-ები, რ-ებიც საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1803–05, 1816–17, 1821–24, 1831– 32, 1841–43, 1849–51, 1867–68 და 1873–74 წლებში ჩატარდა, ცვლიდა რუსეთის შიდა გუბერნიებში „რევიზიების" სახელწოდებით ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს, მაგრამ თავიანთი პროგრამითა და მიღებული შედეგების სიზუსტით მათგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა.

ლიტ.: გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე გ., დემოგრაფიული სტატისტიკა, თბ., 1955; გ უ გ უ შ ვ ი ლ ი პ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX–XX სს., ტ. 1, თბ., 1949.

ე. ორჯონიკიძე

ა. სახვაძე